

შპს „მინიმარტს“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
5. ამონაგები.....	16
6. მარაგის ხარჯი	16
7. იჯარის ხარჯი.....	16
8. სხვა ხარჯები.....	17
9. ძირითადი საშუალებები	17
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
12. მიღებული სესხები	19
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
15. პირობითი ვალდებულებები	21
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23
მმართველობის ანგარიშგება.....	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მინიმარტის“ დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მინიმარტის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად აღარ არის მიზანშეწონილი საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება, რადგან კომპანიას ფინანსური სიმძნელების გამო, განზრახული აქვს საქმიანობის შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. არ განხორციელებულა შესაბამისი შეფასებითი კორექტირებები, რომლებიც ასახავდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესაბამის საფუძველს მსს ფასს-ის მიხედვით. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობს სათანადო გამჟღავნება ან შეფასებითი კორექტირება, რომელიც აღწერდა ახალ სააღრიცხვო საფუძველს და მის გავლენას ფინანსურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად და ყოვლისმომცველად არის დამახინჯებული.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღისთვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება მსს ფასს-ის 27-ე განყოფილების „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია ჯამში 4,541,731 ლარის (31.12.2023: 4,125,881 ლარი) ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზის გამო, რომლებიც აღწერილია უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ

პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეკვეთა დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

26 ნოემბერი 2025

შპს მინიმარტს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	11,190,009	24,453,058
მარაგის ხარჯი	6	(7,741,088)	(19,539,167)
შრომის ანაზღაურება		(5,713,406)	(5,967,358)
ცვეთა და ამორტიზაცია		(843,046)	(526,827)
იჯარის ხარჯი	7	(1,137,245)	(1,127,047)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(69,597)	(158,696)
სხვა ხარჯები	8	(2,091,997)	(1,643,652)
საოპერაციო ზარალი		(6,406,370)	(4,509,689)
ფინანსური ხარჯი		(1,190,953)	(757,850)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		64,827	(16,921)
მთლიანი სრული ზარალი		(7,532,496)	(5,284,460)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 26 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ედუარდი ოგანესიანი
მთავარი ბუღალტერი	_____	ხათუნა ჩაჩანიძე

შპს მინიმარტს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	11,190,009	24,453,058
მარაგის ხარჯი	6	(7,741,088)	(19,539,167)
შრომის ანაზღაურება		(5,713,406)	(5,967,358)
ცვეთა და ამორტიზაცია		(843,046)	(526,827)
იჯარის ხარჯი	7	(1,137,245)	(1,127,047)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(69,597)	(158,696)
სხვა ხარჯები	8	(2,091,997)	(1,643,652)
საოპერაციო ზარალი		(6,406,370)	(4,509,689)
ფინანსური ხარჯი		(1,190,953)	(757,850)
მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან, წმინდა		64,827	(16,921)
მთლიანი სრული ზარალი		(7,532,496)	(5,284,460)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 26 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ედუარდი ოგანესიანი

მთავარი ბუღალტერი



ხათუნა ჩაჩანიძე

შპს მინიმარტს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	4,541,731	4,125,881
არამატერიალური აქტივები		114,869	107,666
		4,656,600	4,233,547
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,239,105	1,623,230
საგადასახადო აქტივი		-	475,304
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	268,587	445,897
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	58,288	714,610
		1,565,980	3,259,041
სულ აქტივები		6,222,580	7,492,588
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,230,750	1,230,750
დაგროვილი ზარალი		(15,283,927)	(7,751,431)
სულ კაპიტალი		(14,053,177)	(6,520,681)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	6,589,193	3,673,039
		6,589,193	3,673,039
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	9,254,199	6,028,052
საგადასახადო ვალდებულებები		11,832	-
მიღებული სესხები	12	4,420,533	4,312,178
		13,686,564	10,340,230
სულ ვალდებულებები		20,275,757	14,013,269
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,222,580	7,492,588

10 – 23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინიმარტს

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31.12.2022	1,230,750	(2,645,765)	(1,415,015)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	178,794	178,794
მთლიანი სრული ზარალი	-	(5,284,460)	(5,284,460)
31.12.2023	1,230,750	(7,751,431)	(6,520,681)
მთლიანი სრული ზარალი	-	(7,532,496)	(7,532,496)
31.12.2024	1,230,750	(15,283,927)	(14,053,177)

10 – 23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მინიმარტს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(7,532,496)	(5,284,460)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		843,046	526,827
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		69,597	158,696
გაცემული ავანსების გაუფასურების ხარჯი		30,640	-
ფინანსური ხარჯი		1,190,953	757,850
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		17,702	206,147
(მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(64,827)	(16,921)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(5,445,385)	(3,651,861)
მარაგების შემცირება		384,125	1,470,836
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		85,963	74,084
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		3,042,505	1,570,475
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		487,136	(214,124)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები		(1,445,656)	(750,590)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,276,598)	(1,941,736)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(7,203)	(75,517)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,283,801)	(2,017,253)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება		2,936,139	3,080,291
სესხების გადახდა		(342,068)	(154,985)
გადახდილი პროცენტები		(519,106)	(680,471)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,074,965	2,244,835
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		(654,492)	(523,008)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	714,610	1,237,793
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(1,830)	(175)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	58,288	714,610

10 – 23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მინიმარტს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მინიმარტს“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით - 402050819, დაარსდა 2017 წელს, ხოლო საოპერაციო საქმიანობას ეწევა 2021 წლიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ტერიტორიაზე ჯიხურებით, სხვადასხვა პროდუქციის: სიგარეტის, ლატარიის ბილეთების, ლოტოს, ყავის, კრუსანის, ჰოთდოგების და ა.შ. საცალო რეალიზაცია.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	31.12.2024	31.12.2023
ვალერიან გვათუა	75%	75%
გიორგი რურუა	25%	25%
სულ	100%	100%

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქალაქი თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ვაგზალის მოედანი, მეტროპოლიტენის სამმართველოს მიმდებარედ (ნაკვეთი 05/070). კომპანიის დირექტორია ედუარდ ოგანესიანი.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ვალერიან გვათუა.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ლარში, დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება აღარ შეესაბამება კომპანიის არსებულ რეალობას. გადაწყვეტილება აღნიშნული დაშვების გამოყენების შესახებ მიღებულია იმ საფუძველზე, რომ კომპანიას არ გააჩნია საჭირო ფინანსური და საოპერაციო რესურსები საქმიანობის გაგრძელებისათვის და ხელმძღვანელობის მოსაზრებით არ არსებობს რეალისტური, ეკონომიკურად და სამართლებრივად გამართლებული გზები, რომლებიც საშუალებას მისცემდა კომპანიას, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და არ ასახავს კომპანიის რეალურ ეკონომიკურ და საოპერაციო გარემოს. მიუხედავად ამისა, შესაბამისი ალტერნატიული სააღრიცხვო ჩარჩოს ან საჭირო კორექტირებების გამოყენება არ მომხდარა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს ხელმძღვანელობის შეფასებას:

- კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეამცირა, შემდგომ კი საბოლოოდ შეაჩერა გაყიდვები, დახურა სარეალიზაციო პუნქტების - ჯიხურების არსებითი ნაწილი. კომპანიას აღარ გააჩნია საკმარისი და გრძელვადიანი შემოსავლის წყაროები და ფინანსური მხარდაჭერა საოპერაციო საქმიანობის გასაგრძელებლად;
- არსებული ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ფინანსურ რესურსებს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

მიუხედავად ზემოთ აღწერილი გარემოებებისა, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არ გადახედილა და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული პრინციპის საფუძველზე. არ განხორციელდა ალტერნატიული სააღრიცხვო მეთოდოლოგიის დანერგვა, როგორცაა სალიკვიდაციო ღირებულებების გამოყენება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები. გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც გულისხმობს კომპანიისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. ფინანსური აქტივების გაუფასურებას კომპანია აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმოდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
შენობა-ნაგებობები	10-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
აღჭურვილობა და ინვენტარი	5-7
სატრანსპორტო საშუალებები	5

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან ან/და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობების თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები. გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც გულისხმობს კომპანიისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. ფინანსური აქტივების გაუფასურებას კომპანია აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით.

შპს „მინიმარტს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ამონაგები

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	8,780,644	21,410,797
საკომისიო შემოსავალი	1,499,824	1,850,889
სარეკლამო საქმიანობა	909,541	1,191,372
	11,190,009	24,453,058

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

საქონლის რეალიზაცია: მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი იყიდება მომხმარებელზე ჯიხურებში „გაყიდვის წერტილში“. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე „გაყიდვის წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულადი სახსრების მიღების/საკრედიტო ბარათით გადახდის სანაცვლოდ.

საკომისიო შემოსავალი: მომწოდებლებისგან მიღებული საკომისიო კონსიგნაციით მიღებული პროდუქციის გაყიდვისთვის. შესასრულებელი ვალდებულება სრულდება მომწოდებლისთვის მომსახურების გაწევის დროს.

სარეკლამო საქმიანობა: მსგავსი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მომწოდებლებს საფასური მარკეტინგულ ღონისძიებებზე მათი პროდუქციის რეკლამირებისთვის ეკისრებათ. შესასრულებელი ვალდებულება სრულდება მომწოდებლისთვის სარეკლამო მომსახურების გაწევის დროს.

6. მარაგის ხარჯი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგი სრულად წარმოდგენილია სარეალიზაციოდ განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით. 2024 და 2023 წლების მარაგის ხარჯი შემდეგია:

	2024	2023
1 იანვარი	(1,623,230)	(3,094,066)
31 დეკემბერი	1,239,105	1,623,230
შემოსვლა	(7,383,420)	(18,086,903)
კაპიტალიზებული მარაგი	26,457	18,572
მარაგის ხარჯი	(7,741,088)	(19,539,167)

7. იჯარის ხარჯი

საიჯარო ხარჯი წლის განმავლობაში წარმოადგენს იმ მიწების იჯარისა და ქვეიჯარის ხარჯს, რომელზეც განთავსებულია კომპანიის ჯიხურები, ასევე, იჯარის ხარჯი მოიცავს ჯიხურების, საწყობების და სათაო ოფისის იჯარას 2024 წელს ჯამურად 1,137,245 ლარის ოდენობით (2023: 1,127,047 ლარი).

შპს „მინიმარტს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. სხვა ხარჯები

	2024	2023
კომუნალური ხარჯები	(401,525)	(272,004)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(385,357)	(300,958)
მარკეტინგული და რეკლამის ხარჯი	(237,797)	(19,820)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(230,081)	(197,789)
საოფისე ხარჯი	(189,389)	(185,595)
საბანკო მომსახურება	(173,626)	(220,679)
ჯიხურების დაცვა	(142,356)	(159,727)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(121,876)	(140,414)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(21,758)	(21,960)
სხვა ხარჯები	(188,232)	(124,706)
	(2,091,997)	(1,643,652)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშნული ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
31.12.2022	940,417	177,475	797,554	1,207,811	3,123,257
შემოსვლა	626,942	18,572	782,507	513,715	1,941,736
გასვლა	-	(24,125)	(4,754)	(283,400)	(312,279)
31.12.2023	1,567,359	171,922	1,575,307	1,438,126	4,752,714
შემოსვლა	196,332	-	1,080,266	-	1,276,598
გასვლა	-	-	(11,374)	(16,504)	(27,878)
31.12.2024	1,763,691	171,922	2,644,199	1,421,622	6,001,434

დაგროვილი ცვეთა

31.12.2022	(52,493)	(18,103)	(60,935)	(74,607)	(206,138)
ცვეთა	(61,766)	(40,101)	(149,078)	(275,793)	(526,738)
გასვლა	-	23,672	112	82,259	106,043
31.12.2023	(114,259)	(34,532)	(209,901)	(268,141)	(626,833)
ცვეთა	(86,011)	(34,615)	(439,623)	(282,797)	(843,046)
გასვლა	-	-	5,756	4,420	10,176
31.12.2024	(200,270)	(69,147)	(643,768)	(546,518)	(1,459,703)

საბალანსო ღირებულება

31.12.2023	1,453,100	137,390	1,365,406	1,169,985	4,125,881
31.12.2024	1,563,421	102,775	2,000,431	875,104	4,541,731

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები. მიღებული სესხების შესახებ დეტალები წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

შპს „მინიმარტს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	779,265	831,338
გაუფასურების რეზერვი	(583,143)	(513,546)
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	103,105	128,105
გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	(30,640)	-
	268,587	445,897

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად, კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. კომპანია იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნები ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურების ანარიცხი
ვადადამდგარი	99,108	0.5%	(496)
0-დან 30 დღემდე	34,903	1%	(349)
31-დან 90 დღემდე	38,372	10%	(3,837)
91-დან 180 დღემდე	19,810	30%	(5,943)
181-დან 360 დღემდე	29,109	50%	(14,555)
361 დღეზე მეტი	141,506	100%	(141,506)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	362,808		(166,686)
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები			
ინდივიდუალურად გაუფასურებული	416,457	100%	(416,457)
სულ ფინანსური აქტივები	779,265		(583,143)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნები ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურების ანარიცხი
ვადადამდგარი	230,614	0.5%	(1,115)
0-დან 30 დღემდე	10,543	1%	(105)
31-დან 90 დღემდე	34,025	10%	(3,403)
91-დან 180 დღემდე	36,035	30%	(10,811)
181-დან 360 დღემდე	44,019	50%	(22,010)
361 დღეზე მეტი	44,654	100%	(44,654)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	399,890		(82,098)
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები			
ინდივიდუალურად გაუფასურებული	431,448	100%	(431,448)
სულ ფინანსური აქტივები	831,338		(513,546)

შპს „მინიმარტს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში ლარში	37,588	597,900
ნაღდი ფული ლარში	20,700	116,710
	58,288	714,610

12. მიღებული სესხები

მოკლევადიანი	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები				
სესხი 1	2025	4.75% + რეფინანსირების განაკვეთი	3,999,903	3,999,635
სესხი 4	2027	11.50%	160,112	146,169
სესხი 5	2028	9.5% + "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი	136,438	120,929
სესხი 7	2029	9.5% + "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი	76,103	-
სესხი 6	2026	9.5% + "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი	47,977	45,445
			4,420,533	4,312,178

გრძელვადიანი	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები				
სესხი 5	2028	9.5% + "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი	490,581	636,679
სესხი 7	2029	9.5% + "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი	353,643	-
სესხი 4	2027	11.50%	288,112	446,186
სესხი 6	2026	9.5% + "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი	41,609	90,951
დაკავშირებული მხარეებისა და სხვა ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები				
სესხი 2	2027	14%	1,499,711	921,078
სესხი 3	2028	14%	3,915,537	1,578,145
			6,589,193	3,673,039

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი აქტივებით:

- დეპოზიტი:	ხვიჩა მაქაცარია
- კომპანიის თავდებობა:	შპს ჯი ენ ელ
- პირადი თავდებობა:	ხვიჩა მაქაცარია
- კომერციული ფართი:	შპს სითისაით
- საწარმოო ფართი:	შპს სითისაით
- ძირითადი საშუალებები:	შპს მინიმარტს
- არსებული და სამომავლო მარაგები:	შპს მინიმარტს
- სატრანსპორტო საშუალებები:	შპს მინიმარტს

ფინანსური გარანტიის კონტრაქტით, რომელიც უკავშირდება სესხების ზემოთ ჩამოთვლილ უზრუნველყოფებს, არ მომხდარა ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	8,877,141	5,968,046
გადასახდელი ხელფასები	377,058	60,006
	9,254,199	6,028,052

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	31.12.2024	31.12.2023
მიღებული სესხები	დამფუძნებელი	1,471,350	1,578,145

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	2024	2023
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(264,461)	(194,680)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	დამფუძნებელი	(133,364)	(67,431)

15. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

საოპერაციო იჯარები

კომპანიას აქვს იჯარით აღებული ფართები საოპერაციო საქმიანობისთვის. იჯარები არის საოპერაციო და მათი ვადაა 1-დან 5 წლამდე. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა საოპერაციო იჯარებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2024	2023
1 წლამდე	1,043,236	1,115,767
1-დან 5 წლამდე	1,418,836	2,449,733
5 წელზე მეტი	-	-

ცხრილში მოცემული სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან კომპანიას 2024 წლის ბოლოს ჰქონდა შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულება 191,510 ლარის ოდენობით (2023: 201,130 ლარი).

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნები

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო ხელშეკრულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ითვალისწინებს შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

1.1 ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBIDA) 300%-ზე მეტი. (EBIDA) - საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯებისა დამორტიზაციის გარეშე [გადასახადები დაკლებულია].

1.2 სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1,3 დონეზე [DSCR (P&L based) იანგარიშება: (EBITDA-Maintenance CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი/გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირი და პროცენტი)). Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1.05 დონეზე. [DSCR (CFADS) იანგარიშება: (EBITDA - ცვლილება საბრუნავ კაპიტალში - Maintenance CAPEX - დივიდენდი მოგების გადასახადი)/გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირი და პროცენტი]] კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე. ICR კოეფიციენტი იანგარიშება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBITDA - Maintenance Capex შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან.

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

1.3 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და/ ბანკის მიერ კლიენტისათვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:

1.3.1 კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 10%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით); დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან, რის შესახებაც კლიენტმა უნდა შეატყობინოს ბანკს) მაქსიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისათვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე;

1.3.2 მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

1.3.3 გამოიყენოს (განახორციელოს) ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულებით ბანკისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

კლიენტი ვალდებულია დაიცვას შემდეგი არაფინანსური კოვენანტები:

1.1 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აილოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა, რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას;

1.2 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ასევე არ მოხდეს მსესხებლის ან მისი გარანტორი კომპანიების წილების მოთხოვნის უფლებით დატვირთვა მესამე პირების სასარგებლოდ.

1.3 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფიქსირებული აქტივები.

1.4 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიებში

1.5 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს დივიდენდები

1.6 მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები;

1.7 სესხის მოქმედების პერიოდში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

1.8 მსესხებელს/პრინციპალს არ აქვს უფლება, სესხის/გარანტიის მოქმედების პერიოდში, გააფორმოს რაიმე სახის ექსკლუზიური ხელშეკრულება, ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე.

1.9 მსესხებელი ვალდებულია საბანკო ბრუნვების 90% აწარმოოს თიბისი ბანკში მის არსებულ ანგარიშზე.

1.10 ამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღისა ჩაერთოს სახელფასო პროექტში და ისარგებლოს იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლში აღწერილი მომსახურებით.

1.11 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:

1.11.1 კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 10%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით); დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან, რის შესახებაც კლიენტმა უნდა შეატყობინოს ბანკს) მაქსიმუმ 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე;

1.11.2 გამოიყენოს (განახორციელოს) ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ბანკისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

1.11.3 თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ან დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით და უკან გამოითხოვოს სესხის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი.

1.11.4 მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნების ნაწილს.

2024 წელს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, კომპანიამ მოიპოვა ბანკისგან კომფორტის წერილი სახელშეკრულებო მოთხოვნების დარღვევაზე. სადაც აღნიშნულია რომ არსებული ვალდებულებების 2025 წლის 1 იანვრამდე შეუსრულებლობის გამო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამსესხებელი არ ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას; თუმცა, წერილში აღნიშნულია, რომ ბანკი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენებაზე თუ დარღვევები არ აღმოიფხვრება 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ.

2023 წელს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, კომპანიამ მოიპოვა ბანკისგან კომფორტის წერილი სახელშეკრულებო მოთხოვნების დარღვევაზე. სადაც აღნიშნულია რომ არსებული ვალდებულებების 2024 წლის 1 იანვრამდე შეუსრულებლობის გამო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამსესხებელი არ ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას; თუმცა, წერილში აღნიშნულია, რომ ბანკი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენებაზე თუ დარღვევები არ აღმოიფხვრება 2024 წლის 1 იანვრის შემდგომ.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური სიძნელებები. ფინანსური სიძნელების გამო, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგაც გაგრძელდა, კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება არსებითად შეეჩერებინათ კომპანიის საქმიანობა. ამ გადაწყვეტილების შედეგად:

- კომპანიამ თანამშრომლების უმეტესი ნაწილი სამსახურიდან გაათავისუფლა;
- საქართველოს ფოსტასთან გაფორმებული (ჯიხურებთან დაკავშირებული) საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი შეწყვიტა, შედეგად ჯიხურების უმეტესობა დაიხურა; კომპანიაში დაიწყო ძირითადი საშუალებების რეალიზაციის და ნაშთად არსებული სარეალიზაციო მარაგის მომწოდებელზე დაბრუნების პროცესი სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად; საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომწოდებელზე მოხდა ჯამურად 618,360 ლარის ღირებულების მარაგის დაბრუნება და 154,490 ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებების რეალიზაცია;

მიღებული სესხები. კომპანიამ 2025 წელს გიორგი პაპუაშვილისგან მიიღო ჯამურად 1,500,000 ლარის ოდენობის სესხი. მიღებული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით განსაზღვრულია, როგორც 14.25%, ხოლო დაფარვის ვადა - არაუგვიანეს 2027 წლის 24 ივლისისა.

კომპანიამ 2025 წელს კობა ღურჯაიასგან მიიღო ჯამურად 8,672,328 ლარის ოდენობის სესხი. მიღებული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით განსაზღვრულია, როგორც 14.25%, ხოლო დაფარვის ვადა - არაუგვიანეს 2027 წლის 24 ივლისისა.

კომპანიამ 2025 წელს ხვიჩა მაქაცარიასგან მიიღო ჯამურად 5,887,529 ლარის ოდენობის სესხი. მიღებული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით განსაზღვრულია, როგორც 14.25%, ხოლო დაფარვის ვადა - არაუგვიანეს 2027 წლის 24 ივლისისა.

კომპანიამ 2025 წელს ფინანსური ინსტიტუტისგან დამატებით მიიღო სესხი 6,000,000 ლარის ოდენობით. სასესხო ხელშეკრულებების ვადა არა უგვიანეს 2025 წლის 5 დეკემბრისა.

მიღებული სესხების მიზნობრიობა იყო სავაჭრო ვალდებულებებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების რეფინანსირება.

დაფარული სესხები. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, კომპანიამ დაფარა ფინანსური ინსტიტუტის სესხები ჯამურად 9,985,860 ლარის ოდენობით.

შპს „მინიმარტს“

მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1.	ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საქმიანობის ანალიზი	26
2.	ინფორმაცია კომპანიის ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებით.....	26
3.	ინფორმაცია კომპანიის ფილიალებთან დაკავშირებით.....	26
4.	ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევა და განვითარება	27
5.	კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	27
6.	საკუთარი აქციების გამოშვება/გამოსყიდვა	27
7.	მთავარი რისკები და გაურკვევლობები, რისკის მართვა, ფინანსური რისკი მართვის მიზნები და პოლიტიკა...	27
8.	ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები.....	28
9.	სამომავლო გეგმები.....	28

მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საქმიანობის ანალიზი

შპს „მინიმარტს“ (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდით - 402050819 დაარსდა 2017 წლის 16 მაისს, ხოლო საოპერაციო საქმიანობას ეწევა 2021 წლიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ვალერიან გვათუა	75.00%	75.00%
გიორგი რურუა	25.00%	25.00%
	100.00%	100.00%

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ვაგზალის მოედანი, მეტროპოლიტენის სამმართველოს მიმდებარედ (ნაკვეთი 05/070).


2021 წლის 28 დეკემბერს შპს საქართველოს ფოსტის მიერ საჯაროდ გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე, (რომელიც დასრულდა 2022 წლის 17 იანვარს), შპს მინიმარტსმა შპს საქართველოს ფოსტისაგან შეიძინა დისტრიბუციის მიმართულების მოძრავი ქონება და მასთან დაკავშირებული ბიზნეს მიმართულება.

2. ინფორმაცია კომპანიის ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებით

2024 წლის განმავლობაში შპს მინიმარტსში საშუალოდ იყო დასაქმებული 315 ადამიანი. 2024 წლის 1 იანვარს კომპანიამ დაიწყო 302 ადამიანით და 31 დეკემბერს ირიცხებოდა 320 ადამიანი. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ თანამშრომლობა შეწყვიტა 153 თანამშრომელთან, ხოლო ახლად დასაქმებულთა რიცხვი 133-ს შეადგენდა. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა 31.12.2024 მდგომარეობით წარმოდგენილია დანართი 1-ში.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალებთან დაკავშირებით

საქართველოს მასშტაბით, შპს მინიმარტსის მმართველობაში 172 კიოსკია, რომელთაგან 90 კომპანიის საკუთრებაა ხოლო დანარჩენი სს „საქართველოს ფოსტი“- საგან იჯარით არის აღებული. იხილეთ კიოსკების განთავსების არეალის დიაგრამა.



კიოსკები მომხმარებლებს შემდეგ პროდუქციას სთავაზობენ: პრესა, ლოტოს თამაშები, თამბაქო, გამაგრებული სასმელები, ნაცხოზი პროდუქცია, ყავა და სხვა.

4. ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევა და განვითარება

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ 2023 წლის შეთანხმებული სტრატეგიული გეგმის მიხედვით განაგრძო ახალი ბრენდი „ტემპო“ კიოსკების გავრცელება. რის ფარგლებშიც მოხდა საკუთრებაში არსებული 57 ჯიხურის გადაბრენდვა. ახალ კიოსკებში მოხდა ასორტიმენტის გადახალისება. განახლებული კონცეფციის მიხედვით, აქცენტი გაკეთდა მომხმარებელთათვის დილის, შუადღისა და საღამოს კვების შეთავაზებაზე, ე.წ. „Street food“. ამასთან, 20 განახლებული კიოსკი აღჭურვილია ლედ ეკრანებით, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ციფრული ბაზარის ათვისების კუთხით.

5. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წელს კომპანიას არ ჰქონია კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები.

6. საკუთარი აქციების გამოშვება/გამოსყიდვა

2024 წლის განმავლობაში, კომპანიას არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები. აქციების გამოსყიდვა არც მიმდინარე ეტაპზეა დაგეგმილი.

7. მთავარი რისკები და გაურკვევლობები, რისკის მართვა, ფინანსური რისკი მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

- **ფინანსური რისკი** მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასების ცვლილების რისკებს), საკრედიტო რისკს და სალიკვიდაციო რისკს. ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია განსაზღვროს რისკის ლიმიტები და უზრუნველყოს ნებისმიერი რისკის საფრთხის მოქცევა განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში.
- **საოპერაციო და სამართლებრივი რისკის** მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს უზრუნველყოს შიდა განაწესის და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.
- **საქმიანობისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკები** ძირითადად მოიცავს შიდა და გარე თაღლითობის რისკებს, რომლებიც შემცირებულია სარისკო ოპერაციების მუდმივი კონტროლისა და მონიტორინგის გზით, ასევე, პროცესების და საკონტროლო ღონისძიებების გაუმჯობესებით პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურული საშუალებების გამოყენებით.
- **კანონმდებლობასთან შესაბამისობის რისკი** - კომპანია საქმიანობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (სფეროს შესაბამისი კანონმდებლობა). შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ან/და მის ქვემდებარე აქტების ცვლილების შემთხვევაში, კომპანიას მოუწევს საქმიანობის სათანადო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
- **საკრედიტო რისკი** - კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის საფრთხე, რომელიც წარმოიქმნა კონტრაგენტებთან კომპანიის ტრანზაქციების შედეგად, რამაც თავის მხრივ წარმოქმნა ფინანსური აქტივები. აღნიშნულ რისკს ამცირებს სიფრთხილით შერჩეული კონტრაგენტები, გადახდის მოკლე პერიოდები და რისკის შეფასების მოდელები და პროცედურები.
- **ლიკვიდურობის რისკი** - ლიკვიდურობის რისკში მოიაზრება ორგანიზაციისთვის შექმნილი სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს ფულადი რესურსები ამ მოთხოვნების შესასრულებლად, რადგან დაკავშირებული მხარეებისგან ამ ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო სახსრების სწრაფი მოზიდვა საკმაო სიზუსტით უნდა იყოს პროგნოზირებული. ლიკვიდურობის რისკი იმართება ჯგუფის ფინანსური დეპარტამენტის მიერ. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების ნაკადების ყოველთვიურ მცოცავ პროგნოზებს.

- **საბაზრო რისკები**, როგორცაა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები, იმართება და შემოიფარგლება ვალუტის და დაფარვის ვადებს შორის სხვაობის მუდმივი შეფასებით.

8. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები
2024 წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 11,190,009 ლარი, რომელიც შემდეგი პროპორციით განაწილდა:

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	8,780,644	21,410,797
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,499,824	1,850,889
სხვა შემოსავალი	909,541	1,191,372
	11,190,009	24,453,058

კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ხარჯის თვითღირებულება ანგარიშდება საშუალო შეწონილი მეთოდით. 2024 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის ჯამურმა თვითღირებულებამ 7,741,087 ლარი შეადგინა.

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(7,741,087)	(19,539,167)

2024 წლის კომპანიის საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 9,012,245 ლარი. საოპერაციო ხარჯები გადანაწილდა შემდეგი პროპორციით:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(5,713,406)	(5,967,358)
იჯარების ხარჯი	(1,137,245)	(1,127,047)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(2,161,594)	(1,802,348)
	(9,012,245)	(8,896,753)

2024 წელს ზარალმა დაბეგვრამდე, გაუფასურების, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯების დარიცხვამდე (EBITDA) შეადგინა (5,463,087) ლარი, რაც 1,638,921 ლარით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

2024 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა (7,532,496) ლარი, რაც 2,248,036 ლარით მეტია 2023 წლის შედეგზე, რომელიც აგრეთვე დასრულდა (5,284,460) ლარის ზარალით.

9. სამომავლო გეგმები

ფინანსური სიძნელეების გამო, 2025 წლის აგვისტოს თვეში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, კომპანიაში დაიწყო რეორგანიზაცია, რომელმაც გამოიწვია თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ჯიხურების არსებითი ნაწილის ოპერირების შეჩერება. კომპანია გეგმავს საოპერაციო საქმიანობის არსებით შეჩერებას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ედუარდი ოგანესიანი

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ჩაჩანიძე

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

შპს მინიმარტს

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

- საბაზრო რისკები, როგორცაა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები, იმართება და შემოიფარგლება ვალუტის და დაფარვის ვადებს შორის სხვაობის მუდმივი შეფასებით.

8. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები 2024 წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 11,190,009 ლარი, რომელიც შემდეგი პროპორციით განაწილდა:

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	8,780,644	21,410,797
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,499,824	1,850,889
სხვა შემოსავალი	909,541	1,191,372
	11,190,009	24,453,058

კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ხარჯის თვითღირებულება ანგარიშდება საშუალო შეწონილი მეთოდით. 2024 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის ჯამურმა თვითღირებულებამ 7,741,087 ლარი შეადგინა.

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(7,741,087)	(19,539,167)

2024 წლის კომპანიის საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 9,012,245 ლარი. საოპერაციო ხარჯები გადანაწილდა შემდეგი პროპორციით:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(5,713,406)	(5,967,358)
იჯარების ხარჯი	(1,137,245)	(1,127,047)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(2,161,594)	(1,802,348)
	(9,012,245)	(8,896,753)

2024 წელს ზარალმა დაბეგვრამდე, გაუფასურების, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯების დარიცხვამდე (EBITDA) შეადგინა (5,463,087) ლარი, რაც 1,638,921 ლარით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

2024 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა (7,532,496) ლარი, რაც 2,248,036 ლარით მეტია 2023 წლის შედეგზე, რომელიც აგრეთვე დასრულდა (5,284,460) ლარის ზარალით.

9. სამომავლო გეგმები

ფინანსური სიძნელეების გამო, 2025 წლის აგვისტოს თვეში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, კომპანიაში დაიწყო რეორგანიზაცია, რომელმაც გამოიწვია თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ჯიხურების არსებითი ნაწილის ოპერირების შეჩერება. კომპანია გეგმავს საოპერაციო საქმიანობის არსებით შეჩერებას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ედუარდი ოგანესიანი

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა ჩაჩანიძე

